მოგონება ვაჟა-ფშაველას სიცოცხლის უკანასკნელი წლების შესახებ - 1915 წელში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, ხალხისათვის პოლიტიკური თავისუფლების მინიჭებასთან ერთად ძირფესვიანად შეცვალა სახელმწიფოებრივი წყობა და რესპუბლიკის მთელი ინტერესები ხალხის სამსახურში ჩააყენა.

ამ დროიდანვე იწყება ჩვენში საბჭოთა მედიცინის აღორძინების ხანა. და აი დღეს ჩვენი რესპუბლიკა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა, არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, აფთიაქებისა და სხვა სამკურნალო გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომლითაც დაქსელილია ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები, ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის განახლებული მოქალაქეთათვის საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული მკურნალობისა და დასვენების უფლება, მათ სამსახურში დგას ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სამკურნალო დაწესებულებები და სამკურნალო პრეპარატების მდიდარი არსენალი.

მაგრამ სად იყო 1921 წლამდე საავადმყოფოების და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა მცირე რაოდენობა, სამედიცინო კადრების სიმცირე, მკურნალობისათვის დაწესებული გადასახადები და სამკურნალო პრეპარატების განსაზღვრული რაოდენობა, არ იძლეოდა საშუალებას, დაავადების მძიმე რიგ სახეობებთან ეფექტური ბრძოლისა, რის გამოც ხშირად ჩატარებული მკურნალობა ნაკლებ შედეგიანი იყო.

აი, სწორედ ამ პერიოდში, 1915 წელს ქართველი ერის სასიქადულო შვილი ვაჟა-ფშაველა იყო მძიმე მდგომარეობაში დაავადე-

ბული ფილტვების ანთებით და სველი პლევრიტით.

ერის საყვარელ პოეტის მკურნალობას ხელი მოჰკიდეს ივანე გომართელმა და პროფ. გ.მ.მუხაძემ. გამოჩენილმა მკურნალებმა მთელი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურეს პოეტის გადასარჩენად, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მათ ხელთ არ ჰქონდათ მკურნალობის ის საშუალებებიც კი რომ გადაერჩინათ დიდი მგოსანი.

იმპერიალისტური

1915 წელს იყო გაჩაღებული I (სამამულო) ომი. თბილისში იხსნებოდა ბევრი ლაზარეთები დაჭრილებისათვის ერთი მათგანი იყო წმინდა ნინოს სახელობის მე-14 ქართული ლაზარეთი, რომელიც იყო მოთავსებული თბილისის უნივერსიტეტის ახლანდელ სარდაფში სადაც მე ვმუშაობდი მოწყალების დად. კარგი მუშაობის გამო მე დამნიშნეს უფროს დად. მთავარი ექიმი ამ ლაზარეთის იყო ექიმი თერაპევტი ვლ.მიხ. მახვილაძე, კონსულტანტი ქირურგი - პროფ. გ.მ. მუხაძე. ივლისის I რიცხვებში მთავარ ექიმმა დამავალა მძიმე ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა გადმომეყვანა ბინიდან /მიჯნის 9/ ლაზარეთში და დამავალა მისი მოვლა. მგოსნის მძიმე ავადმყოფობამ გული მატკინა, მაგრამ მისი ლაზარეთში გადმოყვანა და მოვლა, რომ მე დამავალეს მესიამოვნა, თუმცა ცოტა შევკრთი და ავღელდი კიდევაც. გადმოყვანის წინ ვაჟასთვის საყვარელ ~~მგოსანს~~ გამოუყვანეთ კარიდორის ბოლოში დიდი და მზიანი პალატა /ამჟამად მორფოლოგიური აუდიტორია № 116/.

დავიჭირე ეტლი, წავიყვანე ორი სანიტარი ავედით მე-3 სართულზე, შევაღე კარი დიდ ოთახში იჯდა ძმა სანდრო ავადმყოფი არ ჩანდა, მაგრამ მეორე ოთახიდან მომესმა კვნესა, შევედი - ტახტზე ნაბადწამოსხმული თავის ტანსაცმელში თავზე თეთრი ხილაბანდით იწვა დიდი მგოსანი, ნაბადი გადავხადე იწვა ოფლიანი დიდი სიცხით.

ვაჟამ გადმომხედა, რომ დამინახა თეთრ ხალათში მითხრა: არ წამოვალ, მოვერევი, მე რა თქმა უნდა არ მოვეშვი, ვთხოვე წამოდით მოგარჩენთ და ჩქარა კარგად გახდებით, ძმამაც სთხოვა რომ წასულიყო ლაზარეთში. როგორც იყო დავითანხმეთ და თქვა: "კარგი წამოვალ" წამოდგა, ყავარჯნებზე უარი განაცხადა, ხელები გადაგვხვია მე და თავის ძმას და ისე ჩავედით ქვევით. მივიყვანეთ ლაზარეთში მოვათავსეთ მომზადებულ პალატაში იმ წუთსვე დაუძახეთ დარაჯს და მოპარსეს წვერი, დავბანეთ და ჩავაცვით თეთრეული და დავაწვინეთ საწოლზე. ერთი საათის შემდეგ მთავარ ექიმმა მახვილაძემ მოიწვია კონსილიუმი პროფესორები: ვირსალაძე, მუხაძე, მიქელაძე და ივანე გომართელი.

გასინჯვისას აღმოჩნდა მარჯვენა გვერდის სველი პლევრიტი. წინათ მკურნალობდა ივ.გომართელთან. პროფ.მუხაძეს რამდენჯერმე გამოუშვია გვერდიდან სითხე მაგრამ სწრაფად იყრიდა ისევ თავს. დაადგინეს, რომ სითხე აღარ გამოეშვათ, დაუნიშნეს განსაკუთრებული მკურნალობა და კარგი კვება და მოვლა. ასეთი კონსილიუმი ხშირად იყო მოწვეული მგოსნის სასთუმალთან.

ვაჟას ავადმყოფობის ამბავი სწრაფად მოედო მთელ საქართველოს ქართველი ხალხი ეშურებოდა მასთან მაგრამ არავის არ უშვებდნენ გარდა ცოლ-შვილისა, მწერლების და საზოგადო მოღვაწეებისა.

X მგოსნის სასიამოვნოდ მთელი ლაზარეთის პალატა იყო მოფენილი ვარდებით და სხვადასხვა მწვანე მცენარეებით. X მე რაკი დამავალეს მისი მოვლა სულ მასთან ვიყავი, და მთელი ყურადღება მარტო მასზე მქონდა, რომ არ გამომეშვა დრო მისთვის წამლების მისაცემათ, ვაჟა ძალიან შემეჩვია და მამა-შვილური სითბოთი მიყურებდა. მე ვცდილობდი არ მომეკლო მგოსნისთვის ყურადღება, სულ მასთან ვიყავი. ვაჟა მეტწილად თვალდახუჭული ხოლმე იწვა, რომ დამინახავდა მასთან ვარ მეტყოდა,"ფიქრმა გამიტაცა, მთელი ოცნებით ჩემს სოფელში ვიყავი, ბალღები, სახლ-კარი, მომაგონდა, მწვანე ბალახის სუნი მომენატრა.

SOVLAB

ერთ დღეს მითხრა: "ძალიან შეგეჩვიე მინდა შენთან სურათი გადავიღო მოსაგონებლად".

ვაჟამ დაავალა იოსებ იმედაშვილს მოეყვანა ფოტოგრაფი. ვაჟამ თვითონ მთხოვა "ჩემს გვერდით დაჯექით" — აქამდის სურათს მოწიწებით ვუვლი. XX

მთაში გაზრდილი და მთის ჰაერის ნაცრული მგოსანი ვერ ეგუებოდა თბილისის სიცხეს, ოთხ კედელში გული და სული ეხუთებოდა, ექიმებს ეხვეწებოდა: "როგორმე აქედან წამიყვანეთ და ისევ მთა მომარჩენსო", მაგრამ ექიმებს ეშინოდათ. ხშირად დადიოდნენ მწერლები და ართობდნენ ვაჟას. ერთხელ სთხოვა მოეტანათ წყაროს წყალი მამადავითიდან. მეორე დღესვე მოუტანეს წყაროს წყალი, მოიყუდა ლიტრა და ნელნელა სვამდა სიამოვნებით, წყალი ეღვრებოდა მაგრამ იგი არ გრძნობდა სისველეს თითქოს ღონეც მოემატა. ამის შემდეგ მიიძინა, მაგრამ შფოთავდა, რაღაცა აწუხებდა, გაიღვიძა და თქვა "ჩემს სოფელში ვიყავიო" საერთოდ ძალიან სუსტად იყო ლაპარაკის უნარი აღარ ჰქონდა. ერთ დღეს მითხრა: "კარგი სახელია ნინო, მომეცი ფანქარი ლექსი დაგიწეროვო".

მე მაშინვე მივურბენინე ფანქარი და ქაღალდი, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, რომ ფანქარი დაუვარდა და ვერ შესძლო ლექსის დაწერა. ექიმები ძალიან ბევრს ცდილობდნენ კარგად მოევლოთ: ზრუნვა მოვლა, წამლობა რის საშუალებაც იმ დროს მედიცინას ჰქონდა არ დაუკლიათ, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა და არაფერმა არ უშველა და უფრო-და უფრო სუსტდებოდა. 27 ივლისს დილიდანვე შფოთავდა, ცუდად იყო და დრო გამოშვებით კითხულობდა "რომელი საათიაო".

27 ივლისს საღამოს 7 საათზე სამუდამოდ დახუჭა თვალი. და მშვიდად განუტევა მღელვარე სული.

ვაჟას გარდაცვალების ამბავი სწრაფად მიედო საქართველოს.

ვაჟას სიკვდილს არ მოლოდა ქართველი ხალხი, ყველას ეგონა მისი მაგარი აგებულება სძლევდა სენს და მგოსანი გამოკეთდებოდა.

ქართველმა ხალხმა ბევრი იტირა, ღრმად იგლოვა მთის არწივის დკარგვა.

მე კი სამუდამოდ მოგონებად დამრჩა ვაჟას სასთუმალთან გატარებული დღეები, მისი თბილი, ალერსიანი მოპყრობა და დიდსულოვანი ბუნება.

ყაზბეგის
4. ბინა
22-76-86
[illegible] 1-17

საქართველოს დამსახურებული ექიმი
პერსონალური პენსიონერი ნინო იოსების ასული
ვაშაკიძე-ციციშვილისა.